ენის წარმოშობისა და განვითარების ფაქტორების მარქსისტულ-ლენინურმა ანალიზმა ნ. მარმა საშუალება მისცა მართებულად განესაზღვრა იგი და მოეცა ენის ფუნქციების მქაფიო დახასიათება. „ენა, — ამბობს ნ. მარმა, — არის ურთიერთობის იარაღი, წარმოშობილი შრომითს პროცესში, ზუსტად კაცობრიობის კულტურას შემოქმედების პროცესში, ე. ი. სამეცნიერო, საზოგადოებრივი, მსოფლმხედველობრივი შემოქმედების პროცესში: ენა შექმნა ადამიანთა კოლექტივიმა, როგორც მატერიალური კულტურა თავისი საზოგადოებრივი ყოფის პირვანდელ საფეხურზე“.

ნიკო მარმა იყო ნოვატორი მეცნიერებაში, ჩვენი სოციალისტური ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნე, საბჭოთა მოწინავე მეცნიერების გამოჩენილი კორიფეთაგანი. იგი მუდამ ეძიებდა ახალს და უშიშრად უარყოფდა თავისი და სხვის უკვე მოძველებულ შეხედულებებს. მის მიერვე მოპოვებულ ცხოველმყოფელი ფაქტების საფუძველზე ახლებურად განსაზღვრავდა უკვე ქველად დოგმებად მიჩნეულ დებულებებს. ყველაზე მკაცრი და ობიექტური კრიტიკოსი საქუთარი დრომოჭმული შეხედულებებისა იყო პირადად თვითონვე. ყოველივე ამით ნ. მარმა ნამდვილი რევოლუციონერი იყო მეცნიერებაში.

ნ. მარმა იყო არა მარტოოდენ სახელმოხვეჭილი მეცნიერი, არამედ უთვალსაჩინოები საზოგადო მოღვაწეც. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ათე-

ულობით სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება ჩვენი სამშობლოს თითქმის ყველა კუთხზე შეიძლება თუ ვის შეუნელებელ შემოქმედებითს მოღვაწეობას ის ბრწყინვალედ ათავსებს ფართო საზოგადოებრივ-ბოლოტიკურ მუშაობასთან. სადაც არ უნდა ყოთილიყო, მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებსა თუ აკადემიის ფილიალებში, ექსპედიციებსა თუ სამეცნიერო მივლინებებში, სამუშავი აუდიტორიებსა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების სხდომებზე, სამშობლოში თუ საზღვარგარეთ, მას ყველგან მაღლა ეჭირა საბჭოთა ცხოველმყოფელი პატრიოტიზმის ღრმშა, მეცნიერების ბოლშევიკური პატრიულობის ღრმშა. მან არ იცოდა კომპრომისი საბჭოთა მეცნიერების მტრებთან, მას სძულდა ძირმომპალი კაპიტალისტური სამყარო და მისი დაბებული მეცნიერება. იგი იყო მუდამ პრინციპული და შეურიგებელი მებრძოლი კონსერვატიზმისა, ჩამორჩენილობისა და უცხოური კულტურის წინაშე მონური ქედმოხრილობის წინააღმდეგ. მას მხურგალე სიყვარულით უყვარდა თავისი მძლავრი სამშობლო, ღვიძლი ლენინ-სტალინის პატრია, რომლის წევრიც იგი იყო. მთელი თავისი მეცნიერული შემოქმედებით და მეკვიდრეობით ნ. შარი ეკუთვნის საბჭოთა ხალხს.

საბჭოთა საზოგადოებრიობამ ღირსეულად დააფასა დიდი მეცნიერის ღვაწლი, იგი დაგილდოებული იყო ლენინის ორდენით და ამავე ღრმის სამეცნიერო შრომებისათვის მიღებული ჰქონდა მრავალი პრემია. მის სახელს ატარებენ დღეს ათეულობით სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები და სკოლები.

ნ. მარმა აღზარდა ასობით მოწაფე, რომლებიც ახლა მოღვაწეობენ ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხზე და მასწავლებლის გარდაცვალების შემდეგ (1934 წ. 20 დეკემბერი) ანვითარებენ მის გენიალურ მემკვიდრეობას. ნ. მარმას საქმეს განაგრძობს მისი სახელოვანი მოწაფე, გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი აკად. ი. მეშჩანინოვი, რომლის შრომებში ახალ სიმაღლეზე აყვანილი მატერიალისტური ენათმეცნიერება. ნ. მარმას სახელობის ინსტიტუტებში მოსკოვისა და ლენინგრადში წარმოებს დიდი შემოქმედებითი მუშაობა საბჭოთა ენათმეცნიერების ახალი აქტუალური პრობლემების დასამუშავებლად.

ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ენათმეცნიერული აზროვნება ვითარდება ერთი გზით—ესაა გზა, ნაჩვენები მეცნიერი რევოლუციონერის ნიკო მარმას მიერ.



ქელოვნური ბოჭკოვანი

ინჟინერი-ტექნიკოზი ედექსანდერ მამაძე

ქსოვილების დასამზადებლად სარგებლობენ სხვადასხვა სახისა და წარმოშობის მეტად წვრილი, განსაზღვრული ფიზიკურ-ქიმიური და მექანიკური თვისებების მქონე ბეჭვებით, რომლებიც ლიტერატურაში ბოჭკოვანი მასალების სახელწოდებით არის ცნობილი.

მეოცე საუკუნის დასაწყისამდე საფეიქრო მრეწველობის ნედლეულის წყაროს წარმოადგენდნენ მხოლოდ და მხოლოდ ე. წ. ნატურალური ბოჭკოები, როგორიცაა: ბამბა, სელი, მატყლი, ბუნებრივი აბრეშუმი, რამი და სხვა, რომლებიც კაცობრიობისათვის ჯერ კიდევ შორეულ წარსულში იყო ცნობილი.

კაცობრიობა ეძებდა გზებს ხელოვნური საფაზიკო წესით მიეღო წინასწარ დადგენილი თვისებების მქონე ბოჭკოები ანუ, როგორც ამჟამად უწოდებენ, „ხელოვნური ბოჭკოები“, რომლის წარმოება არ იქნებოდა დამოკიდებული კლიმატურ და ატმოსფერულ პირობებზე, ნიადაგზე და სხვა.

ეგნიალურმა რუსმა მეცნიერმა დ. ი. მენდელეევმა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს იშინასწარმეტყველა ხელოვნური ბოჭკოების დიდი მომავალი.

ამჟამად, როცა ხელოვნურ ბოჭკოებზე ლაპარაკობენ, იგულისხმება. ყველა სახის საფეიქრო ბოჭკოვანი მასალა, ქიმიური წესით მიღებულ-დამზადებული სხვადასხვა მასალისაგან.

განსახვავებენ ორი სახის ხელოვნურ ბოჭკოებს: საკუთრივ ხელოვნურ ბოჭკოებს, მიღებულს მაღლამოლეკულური ნაერთების (ცელულოზა, კაზეინი და სხვ) ქიმიური დამუშავებით, და სინთეზურ ბოჭკოებს, რომლის დასამზადებლად იყენებენ მარტივ ქიმიურ ნივთიერებებს, როგორიცაა: ფენოლი, ნამზირბადი, კირი, ქლორი და სხვა.

ხელოვნური ბოჭკოების მიღებასა და გამოყენებას არა აქვს დიდი ხნის ისტორია. ხელოვნური ბოჭკოს პირველი ნიმუში მიღებულ იქნა ლაბორატორიული წესით 1884 წელს, სამრეწველო წარმოება კი დაიწყო 1905—1906 წლებში. რაც შეეხება სინთეზურ ბოჭკოებს, ისინი პირველად მხოლოდ 10—12 წლის წინათ მიღეს.

ჩვენი წერილის მიზანს შეადგენს გავაცნოთ მკითხველს ცელულოზას საფუძველზე ხელოვნუ-

რი ბოჭკოების მიღების წესი და მათი ძირითადი თვისებები.

ბევრმა, ალბად, არც კი იცის, რომ მთელი რეგისტრულად გაფორმებული ეფექტური სახის სატრიკოტაფო და სამკერვალო მზა ნაწარმი დამზადებულია ხელოვნურ ბოჭკოებისაგან, რომლებიც ხის (ნაძვი, სოჭი, ფიჭვი), ხოლო, ზოგ შემთხვევაში, ბამბის ცელულოზის ქიმიური გადამუშავებით მიღება.

განსახვავებენ ხის და ბამბის ცელულოზისაგან დამზადებულ სამი სახის ხელოვნურ ბოჭკოებს: ვისკოზას, სპილენძის ამონიაკის და აცეტატურ ბოჭკოს.

ხელოვნური ბოჭკოების ზემოთ დასახელებული სახელწოდებანი წარმოშობილია მათი მიღება-დამზადების მეთოდისაგან.

ასე, მაგალითად, ვისკოზა ეწოდება წებოვან კოლოიდურ ხენარს, რომელსაც წვრილნახვრეტებიანი ფილიერების საშუალებით სალექ აბაზანაში გაატარებენ და ღებულობენ ხელოვნურ ბოჭკოს, მნიშვნელოვანი სიგრძის მქონე ძაფის სახით. სპილენძის ამონიაკის ბოჭკოს დასამზადებლად ძირითადათ იყენებენ ბამბის ცელულოზას, რომელსაც სპილენძის ამონიაკის ხენარით დაამუშავებენ. აცეტატურ ბოჭკოს, ისე როგორც სპილენძის ამონიაკის ბოჭკოს, ღებულობენ ბამბის ცელულოზისაგან, რისთვისაც აცეტილ-ცელულოზას აცეტანისა და ეთილის სპირტის ნარევში გახსნიან.

არსებობს ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოების წარმოების მრავალი მეთოდი, მაგრამ მათი შილების პრინციპი მანიც ერთია. წარმოების ტექნიკოლოგიური პროცესი შესდგება სამი ძირითადი ნაწილისაგან: ა) სართავი ხენარის დამზადება, ბ) ბოჭკოს მიღება (დართვა), გ) გამოყვანა და ცალკეული ოპერაციების ჩატარება, როგორიცაა გრეხა, გადაზვევა და სხვა.

დართვა, ე. ი. ბოჭკოს დაყალიბება, წარმოადგენს ხელოვნური ბოჭკოს წარმოების ტექნიკოლოგიური პროცესის ერთ-ერთ მეტაურ მნიშვნელოვან ეტაპს, რალგან ეს უკანასკნელი განსაზღვრაული მაღალი ღირსების ბოჭკოსათვის დამახსასითებელ მთელ რიგ ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს.

1-ლ ნახ-ზე მოცემულია ხელოვნური ბოჭკოს (ვისკოზას) მიღების (დართვის) სქემა.

ბილობაზე. ცენტრიფუგალური წესით დარჩეულ
შემთხვევაში კი ცალკეულ ბოჭკოების ერთწერება
ძაფად შეგრეხა ამავე მოწყობილობაზე სწარმო-
ებს, დართვის პროცესის შეუწყვეტლად (ნა. № 2).

სართავი მანქანის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო
ნაწილად ითვლება ფილიერი, რომელიც, როგორც
მე-3 ნახ-დან ჩანს, წარმოადგენს დახვრეტილი ზე-
დაპირის მქონე ღრუ ცილინდრს. ძისაღები ძაფის
სიწვრილე დამოკიდებულია ფილიერის ნახვრეტე-
ბის რაოდენობაზე, რომელიც 24-დან 500-დე მერ-
ყობს, თვითეული ნახვრეტის დიამეტრი კი აღ-
წევს 50-80 მიკრონს (მიკრონი=0,001 მმ).

სახეობის მიხევით, როგორც ხელოვნური ისე
სინთეზური ბოჭკოები შეგვიძლია დავყოთ ორ ტი-
პას:

ა) ხელოვნური ბოჭკოები, მიღებული მნიშვნე-
ლოვანი სიგრძის და წინასწარ დაღვენილი სიწვრი-
ლის მქონე ძაფის სახით, მსგავსად ბუნებრივი აბ-
რეშუმისა და

ბ) შტაპელური ბოჭკოები, რომლებიც შესდგება
30-დან 150 მმ-დე სიგრძის ბოჭკოებისაგან.

შტაპელურ ბოჭკოსაგან შეიძლება დავროოთ
ნართი და ამ სახით გამოვიყენოთ ქსოვილების და-
სამშადებლად ანდა ვიხმაროთ როგორც ერთ-ერთი
კომპონენტი (შემაღენერო ნაწილი) პატივისა და
მატყლის ქსოვილების დამშადების დროს.

ხელოვნური ბოჭკოების მსოფლიო წარმოება,
განსაკუთრებით ამ უკანასკნელი ოცი წლის გან-
მავლობაში, გიგანტურად განვითარდა (1000-ტო-
ნიდან 1900 წელს 1114 თას ტონამდე 1948 წ.).

მეფის რუსეთში ქიმიური მრეწველობა მეურ-
ნეობის ერთ-ერთ ჩამორჩენილ დარგს წარმოად-
გენდა და, ცხადია, ხელოვნური ბოჭკოების წარ-
მოებაც განუვითარებელი იყო.


ხელოვნური ბოჭკოების წარმოების განვითარე-
ბა საბჭოთა კავშირში განუყრელად არის დაკავში-
რებული სტალინურ ხუთწლედებთან. პირველი
ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგად იგებულ
და ამჟამავებულ იქნა დიდი ქიმიური ქარხები, რა-
მაც უზრუნველყო ხელოვნური ბოჭკოების წარ-
მოების სწრაფი განვითარება.

მეოთხე ხუთწლიანი გეგმით ხელოვნური ბოჭკო-
ების გამომუშავება 1950 წლისთვის, მეორე მსოფ-
ლიო ომის წინა წელთან შედარებით, 4,6-ჯერ, შტა-
პელური ბოჭკოსი კი — 9,6-ჯერ უნდა გაიზარდოს.

ზოგიერთი თვისებებით (გარეგნული სახე, სიპ-
რიალე, სირბილე და სხვა) ხელოვნური ბოჭკო ბუ-
ნებრივ აბრეშუმს წააგის, რის გამოც მას ხშირად
ხელოვნურ აბრეშუმს უწოდებენ. სინამდვილეში
კი მათ ცოტა რამ აქვთ საერთო.

დასახელებული სახის ხელოვნური ბოჭკოების
ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი, რომელიც, სამწუხა-
როდ, ჯერ კიდევ არ არის სავსებით აღმოფხვრი-
ლი, მდგომარეობს იმაში, რომ სველ მდგომარეო-

6




ნა. 1. ხელოვნური ბოჭკოს მიღების (დართვის) სქემა.]

ვისკოზის ხსნარის მიწოდება სართავი მანქანის
სამუშაო ადგილებზე, რომელთა რაოდენობა ოკი-
თეულ მანქანაში 70-დან 200-დე მერყეობს, სწარ-
მოებს მილსადენებით (1). მილსადენიდან მიწოდე-
ბულ ვისკოზის ხსნარს პატარა ტუმბო (2) საწუ-
რით (3) და ფილიერით (5) წნევით ატარებს სალე-
ქე აბაზანაში (4), რომელიც უშეტეს შემთხვევაში
შეიცავს გოგირდმეფას და ნატრიუმისა და თუ-
თას სულფატის ხსნარებს. სალექე აბაზანაში ვის-
კოზის წერილი ძაფები იშლება ცელულზათ და
სხვა შემადვენელ ნაწილებად. მიღება პარალე-
ლურად განლაგებული დიდი სიგრძის ცალკეული
ბოჭკოები, რომლებიც ვაიცლიან მთელ რიგ მიმ-
რართველ კაუჭებს და ესვევიან ალუმინის ან
პლასტიკური მასისაგან. დამზადებულ ღრუ ცი-
ლინდრზე — ბობინებზე (6).

არსებობს ხელოვნური ბოჭკოს დართვის ორგა-
რი მეთოდი: საბობინო და ცენტრიფუგალური.

განსხვავება მათ შორის შემდეგში მდგომარეობს:

საბობინო დართვის დროს ფილიერიდან გამო-
სული ცალკეული ბოჭკო დაუგრეხავია. ამიტომ
საჭირო ხდება მათი ძაფად შეგრეხა ცალკე მოწყო-



ნახ. 2. ხელოვნური ბოჭკოს შეგრეხა ცენტრიფუგალურ
სართავ მანქანაზე.

ბაში, განსაკუთრებით გაჭიმვის დროს, ბოჭკო მნიშვნელოვნად ჰყარგავს გამძლეობას.

ასე, მაგალითად, დასველებისას ვისკოზის გამძლეობა 50—60%-ით მცირდება, სპილენძის ამონიაკის ბოჭკოსი — 40-50%-ით, აცეტატური ბოჭკოსი — 25-30%-ით.

სამაგიეროდ, ხელოვნური ბოჭკოები უფრო მეღვეგია სითბოს მიმართ, ვინემ ზოგიერთი სხვა ბოჭკოვანი მასალა. ვისკოზის ძაფი თავისუფლად იტანს $120-130^{\circ}$ სითბოს, მაშინ, როდესაც, ბამბის ნართი ამ ტემპერატურაზე სიმაგრეს ჰყარგავს.

სითბოსაღმი გამძლეობის უნარმა, მასთან იმ გარემოებამ, რომ ვისკოზის ძაფის ზედაპირი უფრო გლუვი და სრიალაა, ვინემ ბამბის ნართი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ხახუნის კოეფიციენტის შემცირებისათვის, შესაძლებელი გახადა ვისკოზის ფაროვან გამოყენება საავტომობილო მრეწველობაში ავტორეზინის დასამზადებლად.

ხელოვნური ბოჭკოები არ ხსიათდებიან მაღალი გამძლეობით, ისინი უფრო ნაკლები სიმაგრის არიან, ვინემ ბამბა, ნატურალური აბრეშუმი, სელი, კაპრონის ბოჭკო და სხვა.

ფერის მიხედვით არჩევენ გათეთრებული და განვითარებული ვისკოზის ძაფი მონაცრისფეროა; ხშირად ქარხნები ხელოვნურ ბოჭკოებს სხვადასხვა ფერად შეღებილს უშვებენ. ხელოვნური ბოჭკოები მყარი საღებავებით იღებება, რის გამოც მათგან დამზადებული ნაწარმი დიდი ხნის განმავლობაში არ ჰყარგავს ფერს ანუ, როგორც ამბობენ, დიდ ხანს არ ხუნდება.

აღსანიშნავია, რომ არც ერთი სახის ბოჭკოვან მასალას არ ახასიათებს ბრწყინვა-პრიალი ისეთი სიძლიერით, როგორც მცენარეული წარმოშობის ხელოვნურ ბოჭკოებს. ხელოვნური ბოჭკოების სიბრიალეს რამდენადმე უახლოვდება ბუნებრივი აბრეშუმი და მერსერიზებული სელი და ბაბბა.


მცენარეული წარმოშობის ხელოვნური ბოჭკოების გამოცნობა-გარჩევა სხვა ბოჭკოებისაგან არ წარმოაღენს დიდ სიძლელეს.

მათ დამახასიათებელ ნიშნებათ შეიძლება დავასახელოთ შემდეგი: ვისკოზა და სპილენძის ამონიაკის ბოჭკო, მსგავსად ბამბისა, სწრაფად იწვის. წვის შემდეგ სტოვებს მსუბუქ ფერფლს, კონცენტრირებული მარილის და აზოტის მჟავების მოქმედებით სწრაფად ახსნება; თავისი ბრწყინვით მკვეთრად გამოირჩევა სხვა ბოჭკოვანი მასალებისაგან და ა. შ.

ხელოვნური ბოჭკოებს უართო გამოყენება აქვს სახალხო მეურნეობაში, განსაკუთრებით მრეწველობის ისეთ დარგებში, როგორიცაა საფეიქრო, სატრიკოტაჟო, საგალანტერიო და სხვა.

თუ რა მნიშვნელობა ეძლევა ხელოვნურ ბოჭკოებს, როგორც ნედლეულის წყაროს, იქიდანაც სჩანს, რომ ვისკოზის კუთრი წონა სატრიკოტაჟო მრეწველობის ნედლეულის ბალანში 1950 წლისათვის უნდა შეადგინდეს დაახლოებით $25^{\circ}/\text{o}$. ამავე წლისათვის გამოშევებული წინდების თითქმის ნახევარი დამზადებული უნდა იქნას ვისკოზისაგან. საფეიქრო მრეწველობის ნედლეულის ბალანში ვისკოზა 1950 წლისათვის მეორე ადგილს დაიჭირს ბამბის შემდეგ.

ნაჩ. 3. ფილიერი.



სწრაფი ჭრის გეთოლით გუგაობის საკითხები

სამრისის მიმართულად დაგვირჩი ერთი კონსტრუქციის შესახებ

ინჟინერი მიხეილ მახათაძე

1. ლითონების სწრაფი ჭრის ცალი და მიზანი

ლითონების სწრაფი ჭრით დამუშავება დიდი ხა-
ნია ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ თეორიულ და
პრაქტიკულ საკითხს წარმადგენს.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში მჭრელი იარა-
ღები მხოლოდ ნახშირბადიანი ფოლადებისაგან
შზალდებოდა. ასეთი მჭრელი იარაღები შესაძლებ-
ლობას იძლეოდნენ სამუალო სიმაგრის ფოლა-
დების დამუშავება მხოლოდ 5 მ/წთ სიჩქარით გვე-
წარმოებინა. ამავე საუკუნის 70-იან წლებში, საჭ-
რისის თეორმიული დამუშავების გაუმჯობესების შე-
დეგად, ეს სიჩქარე აყვანილი იქნა 7—8 მ/წთ-დე.

X X საუკუნის დასაწყისში ასპარეზზე გამოჩნდა
სწრაფმჭრელი ფოლადი. ამ ფოლადის განსაკუთრე-
ბული თვისება იმაში მდგომარეობდა, რომ მისგან
დამზადებული საჭრისები უძლებდენ 550—600°
ტემპერატურას, რომელიც ჭრის პროცესში ვითარ-
დება. მაღალი ტემპერატურა კი საშუალებას იძლე-
ოდა საშუალო სიმაგრის ფოლადების დამუშავების
დროს ჭრა 30 მ/წთ სიჩქარით ეწარმოებინათ: შემ-
დგომ პროგრესს საიარაღო მასალების დამზადება-
ში წარმოადგენდა ლითონ-კერამიკული სალი შე-
ნადნების მიღება. ამის შედეგად ჭრის სიჩქარე, მა-
გალითად, თუკის დამუშავების დროს, 70—80
მ/წთ და გაიზარდა მაშინ, როდე-
საც სწრაფმჭრელი ფოლადით და-
მუშავების პირობებში ჭრის სიჩქა-
რე 30 მ/წთ არ აღემატებოდა. ეს
იყო XX საუკუნის 30-იან წლებში.


უკანასკნელ თეულ წლებში საბ-
ჭოთა კავშირში გოლფრამ-ტიტან-
კობალტიანი მოლიბდენის მცირე
რაოდენობის დამატებით შილებუ-
ლია ახალი სალი შენადნები, ამ შე-
ნადნებისაგან დამზადებული საჭრი-
სებით შესაძლებელი გახდა არა თუ
საშუალო სიმაგრის, არამედ უფრო
მტკიცე ლითონების დამუშავება
ჭრის ძალალი სიჩქარეებით.

უკანასკნელი წლების მანძილზე ლითონების
სწრაფი ჭრის მეთოდით დამუშავების საქმეში საბ-
ჭოთა კავშირში დიდი წარმატებებია მოპოვებული.


ლითონების სწრაფი ჭრით დამუშავების მეთოდი
პირველად ჩვენს სამშობლოში წარმოიშვა. იგი შე-
ქმნა და განახორციელა ინჟინერმა ნ. ი. შჩელკო-
ნოვოვმა.

ახლა ლითონების სწრაფი ჭრის მეთოდებით და-
მუშავება ფართოდ ვრცელდება საბჭოთა კავშირის
მთელ მრეწველობაში. დიდი განძი შეიტანეს და
შეაქვთ ამ ახალი მეთოდის შემდგომ სრულყოფაში
ჩვენი მრეწველობის მოწინავე აღამიანებს. სტალი-
ნური პრემიის ლაურეატმა სტანციონელმა ხარატმა-
გ. ს. ბორტკევიჩმა სწრაფი ჭრის მეთოდის გამოყე-
ნებით მიაღწია 400—700 მ/წთ სიჩქარეს და ნორ-
მას 2000 და მეტი პროცენტით ასრულებს.

ლითონების სწრაფი ჭრის მეთოდი დამყარებუ-
ლია მჭრელი იარაღების დასამზადებლად ისეთი სა-
ლი შენადნების გამოყენებაზე, რომელთაც აქვთ
მაღალი ფიზიკური და მექანიკური თვისებები, გა-
ცვეთისადმი მაღალი მდგრადობა, მაღალი ტემპე-
რატურისადმი გამძლეობა (სალი შენადნები ლითო-
ნის ჭრისათვის აუცილებელ სიმაგრეს ჰკარგავენ
1000—1100° ტემპერატურაზე, სწრაფმჭრელი ფო-
ლადი—550—650°-ზე, ხოლო ნახშირბადიანი ფო-



ნახ. 1. სწრაფი ჭრის მათებული ზომაში (დამუშავების კანსტრუქციის გამოყენება)
ლად) მონაწილი ბურბუშელას ნიმუში.



ზახ. 2. ბურბუშელის დამზტრევი კონსტრუქციის გამოუყენებლად მუშაობა სახარატო ჩარხზე (სწრაფი ჭრის მაღალ ზონაში).

ლადი—250%-ზე) და პრინციპულად ახალი გეომეტრიის საჭრისის წინა უარყოფითი კუთხის შემთხვებაზე.

უცხოელ სპეციალისტთა, კერძოთ, ტეილორის მიერ რეკომენდებული საჭრისის გეომეტრია ღრმოშებული და გამოუსადეგარი აღმოჩნდა ჭრის მაღალ ზონებში.

საბჭოთა კავშირში დამზადებული სალი შენადებისაგან წინა უარყოფითი კუთხიანი საჭრისების გამოყენებამ უსაძლებელი გახდა მაღალხარისხოვანი მტკიცე ლითონების 600—700 მ/წთ და მეტი სიჩქარით დამუშავება სწრაფი ჭრის მეთოდით.

ისე, როგორც ლენინგრადის, მოსკოვის და საბჭოთა კავშირის სხვა ქარხნებში, საქართველოს ქარხნებშიც ფართოდ იყენებენ ლითონების სწრაფი ჭრით დამუშავების ამ ახალ მეთოდს, გამრავლდა სტახანოველ სწრაფმჭრელების რიცხვი, იზრდება შრომის ნაყოფიერება.


2. ბურბუშელა სწრაფი ჭრის პირობები

ლითონების დამუშავების პროცესი იმაში გამოიხატება, რომ დასამუშავებელი ლითონის ძირითადი მასის ზედაპირიდან იხსნება განსაკუთრებული ფუნა ლითონისა, რომელიც ბურბუშელად გადადას. ჩვენს მიზანს არ შეადგენს იმ ფიზიკური მოვლენების აღწერა, რასაც ადგილი აქვს ბურბუშელის წარმოქმნისას. მკითხველის ყურადღებას შევასერებთ

მხოლოდ ერთ გარემოებაზე, კერძოთ იმაზე, რომ სწრაფი ჭრის მეთოდით მუშაობის დროს ბურბუშელა იხსნება მეტად მოუხერხებელი, სწორი ლენტის ებური სახით, რაც ართულებს მუშაობის პირობებს. მოკლე დროის განმავლობაში გროვდება ბურბუშელის დიდი რაოდენობა, რის გამო საჭირო ხდება ჩარხის ხშირად გაჩერება და დადი დრო იყარება მის გაწმენდაზე. გარდა ამისა, ჭრის ასეთ პირობებში საფრთხე მოელის თვით ჩარხზე მომუშავე ხარატს. ლითონების სწრაფი ჭრის მეთოდებით დამუშავების საკითხებზე ლენინგრადში გასულ წელს მოწვეული კონფერენციის გადაწყვეტილებებში ვკითხულობთ: „ბურბუშელის დამხვევი და დამზტრევი რაციონალური კონსტრუქციის შექმნის საკითხი დღემდე გადაწყვეტილი არ არის“ (ქვემოთ რამდენიმედ დაწვრილებით შევეხებით ამ საკითხს). თვალსაჩინოებისათვის პირველ სურათზე წარმოდგენილია მოხსნილი ბურბუშელის ნიმუშები. მეორე სურათზე ნაჩვენებია სახარატო ჩარხზე მუშაობის ჩვეულებრივი მომენტი, როდესაც ჭრა სწარმოებს წინა უარყოფითი კუთხიანი სახარატო საჭრისით.

განმარტების გარეშე ნათლად ჩანს, თუ რამდენი დროს დაკარგვა საჭირო ჩარხის და დეტალის პერიოდულად გასასუფთავებლად, თუ რა ზიანი შეუძლია მოუტანოს ჩარხზე მომუშავეს ბურბუშელამ


3. ბურბუშელის დამტვრევის ზოგიერთი კონსტრუქციის შესახებ



ნახ. 3. ბურბუშელას დამტვრევი: 1—საჭანგებო ფორმის სარეველი, 2—ჩინირი, 3—კუთხური კეთისებრი დამჭერი, 4—საყურე, 5—დასამუშავებელი დეტალი.

სწრაფად ჭრის დროს და როგორ ზიანდება დეტალის დამუშავებული ზედაპირი ბურბუშელის მექანიური ზეგავლენით.

გ. ი. ლანეცის შრომაში „ლითონების სწრაფი ჭრით დამუშავება“ (1948 წ.) ვკითხულობთ, რომ ხვეული ბურბუშელის გასაზიდად მარტო ერთ მსხვილ მანქანათმშენებელ ქარხანას წლიურად 500-დე ვაგონი ესაჭიროება. გარდა ამისა, მაღალ-ხარისხოვანი ლეგირებული ბურბუშელის გამოსა-ყენებლად (მსრტენის ღუმელებში ჩასატკირთა-ვად) ჟაჭიროა დამატებითი ხარჯები დამტვრე-ვისათვის. ამ ხარჯების თავიდან აცილება ასობით ათასი მანეთის ეკონომიას მისცემდა ქარხნებს.



ნახ. 4. 1—დამჭერი, 2—მჭრელი ფირფიტის საყრდენი, 3—დამმაგრებელი მომჭერი ფირფიტა, 4—საყელური, 5—ქანჩი, 6—ხრახინის სარჭი, 7—მჭრელი ფირფიტა, 8—ბურბუშელას დამტვრევი ფირფიტა.


ბურბუშელის დასამტვრევად უკვე ასებობს სხვადასხვა კონსტრუქციები, მაგრამ ისინი არადა-მაქმაყოფილებელი აღმოჩნდნენ და გამოყენება ვერ პპოვეს წარმოებაში. მათ ახასიათებდა ან მეტისმეტი სიღიდე და მოუხერხებლობა, ექს-პლატაციის დროს ან დამზადების სირთულე. ყველაზე უფრო გავრცელებულ კონსტრუქციათ ითვლება ბურბუშელის დამტვრევი „ულიტკა“, რომელიც გამოყენებულია ვოტკინსკის მანქანათმშენებელ ქარხანაში, სადაც იგი პირველად იქნა კონსტრუირებული.


მაგრამ ამ კონსტრუქციასაც ახასიათებს ზოგიერთი ნაკლოვანებანი: 1) საჭრისების დამზადების გართულება სპეციალური ბჭით და 2) კონსტრუქციის სიღიდე. ამ ნაკლოვანებების გამო მან დიდი გამოყენება ვერ მიიღო.

არსებობს სხვა კონსტრუქციები და წინადაღებები, აგებული საჭრისის გალესვის გეომეტრიის პრინციპზე, მაგალითად, საჭრისის წინა სიბრტყე-ზე საფეხურის გაჩარხვით. საფეხურის სიმაღლეა — 0,5-0,6 მილიმეტრამდე, სიგანე — 2-6 მილიმეტრამდე (მოწოდების მიხედვით). ამ საფეხურის საშუალებით ბურბუშელის მიმართულება იცვლება და იგი იმტვრევა, მაგრამ საფეხურის გაჩარხვისათვის სალი შენაღნის ფირფიტებზე საჭიროა ძვირფასი მასალის — აღმასის გამოყენება, რაც ძალიან ძვირი ჯდება. ამიტომ ვერც ასეთმა კონსტრუქციებმა პპოვა ფართო გავრცელება.

გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა ექნებოდა ისეთი კონსტრუქციის შექმნას, რომელიც ჭრის დროს არა მარტო ბურბუშელის დამტვრევის, არამედ სალი შენაღნის მჭრელი ფირფიტის დამ-

კვეთი A-A





ნახ. 5. სპეციალური კონსტრუქციის დამჭერით სწრაფი ჭრის მაღალ ზონაში
მიღებულ ბურბუშელის ნიმუშები.

ჭერთან მექანიკურად შეერთების საშუალებასაც მოგვცემდა, ე. ი. კომბინირებული კონსტრუქციის შექმნას. დღემდე არსებული ასეთი კონსტრუქციები ითვალისწინებდნენ მხოლოდ მჭრელი ფირფიტის მექანიკურად დამაგრებას დამჭერთან, ისიც დაბალი ჭრის სიჩქარეებისათვის. მათში გათვალისწინებული არ იყო ბურბუშელის დამტვრევა.

ამ სტატიის ავტორმა (ინჟ. გ. ი. ნესტურინთან და ტექნიკოს ა. დ. ივანენკოსთან ერთად) შექმნა კომბინირებული კონსტრუქცია, რომელიც იძლევა ამ ორი ძირითადი საკითხის გადაწყვეტას სწრაფი ჭრის მეთოდით მუშაობის პირობებში.

კონსტრუქციამ უზრუნველყო ბურბუშელის ეფექტური დამტვრევა ან დახვევა ჭრის პროცესში. გარდა ამისა, დამჭერთან სალი შენადნის ფირფიტის მექანიკურად დამაგრებამ საშუალება მოგვცა თავიღან აგვეცილებინა თითოეული მჭრელი ფირფიტისათვის ათასობით სპეციალური დამჭერის დამზადება.

4. ახალი ტიპის დამჭერის კონსტრუქცია

მეოთხე ნახაზზე წარმოდგენილია ჩვენი კომბინირებული კონსტრუქციის დამჭერის ზედაპირი და ჭრილი.

დამჭერის ტანი (დეტალი 1) მზადდება № 45 მარკის ფოლადისაგან 16×25 ან 20×30 მმ კვეთის ზომით. მას აქვს T-სმაგვარი თავი, რომლის ნაწილი ამოღარულია მჭრელი ფირფიტის მექანიკურად შესაერთებლად. მჭრელი ფირფიტის საყრდენს (დეტალი 2) აქვს დაღარული ზედაპირი — გრძივი ღარით მჭრელი ფირფიტის გადაადგილებისათვის, დამმაგრებელი მომჭერი ფირფიტა (დეტალი 3) დაღარული ზედაპირით სათანადო ნახრეტით და 30° -ით დახრილა წინა სიბრტყე.


სათანადო ჭოშის ქანქის მოჭერით სარქებე (დეტალი 6) ხორციელდება მჭრელი ფირფიტის დამაგრება დამჭერთან (დეტალი 1). დამჭერ ფირფიტაზე (დეტალი 3), რომელიც 30° -ით დახრილი სიბრტყე აქვს, დამაგრებულია შედარებით მცირე ზომის მაგარი შენადნის ფირფიტა (დეტალი 8), რომელიც უზრუნველყოფს ბურბუშელის დამტვრევას და, აგრეთვე, № 3 დეტალის დაცვას გაცვეთისაგან ჭრის პროცესში.

კონსტრუქციის მოქმედების პრინციპი შემდეგში მდგომარეობს: ჭრის დროს მერვე დეტალის დახმარებით ბურბუშელა მიმართულებას იცვლის და იმტვრევა ან ზოგჯერ იხვევა. დაჩლუნგების შემთხვევაში საჭრისი იცვლება მეორე წინასწარ გალესილი მჭრელი ფირფიტით, ხოლო დაჩლუნ-

გებული ფირფიტა იგზავნება გადასალესად, რის შემდეგ კვლავ მაგრდება დამჭერ კორპუსზე და ა. შ. მჭრელი ფირფიტა მუშაობის პროცესში, გადალესვის გამო, მოკლდება. ამიტომ საჭრიო ხდება მისი გადაადგილება, რაც ხორციელდება მეორე დეტალის დახმარებით. ეს უზრუნველყოფს მჭრელი ფირფიტის მაქსიმალურად გამოყენებას.

მეხუთე სურათზე მოყვანილია ამ კონსტრუქციის საჭრისით მოხსნილი ბურბუშელის ნიმუშები, ხოლო მეექვსე სურათზე ნაჩვენებია თვით კონსტრუქცია.

მეხუთე სურათზე მოყვანილი ბურბუშელის ნიმუშები მიღებულია ჭრის იმავე პირობებში, რაც პირველი სურათისათვის. მათი შედარებით ნათლად ჩანს ჩვენი კონსტრუქციის უპირატესობა.



ნახ. 6 სპეციალური კონსტრუქციის მჭრელი ფირფიტების მექანიკურად დამჭერი ბურბუშელას დამტვრევის თვისებებით, სწრაფად ჭრის ყველა ზონისათვის.

ერაყსიცნაკონი

13. II. 1949 წერები

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილი

1949 წლის გაზაფხულზე საკოლმეურნეო მინდვრებზე, რომელთაც მომსახურებას უწევს რიაზანის ოლქის რიბნიეს მანქანა-ტრაქტორთა სადგური, გამოჩენდა მუხლუხოვანი მანქანა, რომელიც ჩვენთვის ნაცნობ ტრაქტორს ჰყავდა, მაგრამ უცნაური იყო მანქანის ბუდრუგანაზე დამაგრებული აუზრული ისარიც, რომელიც პატარა ამწეს ისარს მოგვაგონებდა, განსაცვიფრებელი უხმაურობაც ამ მანქანისა, რომელიც თან მძლავრ გუთანს ეზიდებოდა.

ისრისაგან კაბელი (გვარლი) მიღიოდა მინდვრის განაპირის მდგომ ბუდრუგანისაკენ. ბუდრუგანის სახურავზე აღმართული იყო ანძა განთითებებით, რომლებიც ელექტრული ქსელის საღენებს ებჯინებოდნენ.

ეს იყო ელექტრული ტრაქტორი, კონსტრუირებული სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის საგაშირო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ.

ამავე გაზაფხულზე ელექტრული ტრაქტორები მოვიდნენ მინდვრებზე, რომლებსაც მომსახურებას უწევენ სვერდლოვსკის ოლქის ბაჟენოვოს და კიევის ოლქის კორსუნ-შევჩენკოვსკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურები. მოსკოვის მახლობლად, მიტიშჩის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში კი მიიღეს ოვლებიანი ელექტროტრაქტორი, კონსტრუირებული სხვა სამეცნიერო კვლევითა ინსტატუტის პროექტის მიხედვით.

ელექტრული ტრაქტორი ახალ ერას ქმნის სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციაში. იგი შესაძლებლობას იძლევა იაფი ელექტრული ენერგია, რომლის მიღების წყაროდ გამოდგება აღგილობრივი ელექტრული რესურსები — წყლის ენერგია, დაბალხარისხოვანი სათბობი — გამოვაყენოთ სოფლის მეურნეობის არა მარტო იმ საწარმოო პროცესებში, რომელთაც მომსახურებას უწევენ სტაციონარული უძრავი დადგმულობანი. მოხერხდა ელექტრული ენერგიის გამოყენება აგრეთვე მინდვრის — სოფლის მეურნეობის ჟველაზე შრომა-ტევად პროცესებში: ხელში, თესვაში, ფარცხვაში.

სტატია იძეგლება მცირეოდენი შემოქლებით.

*
* *


საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლებმა ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე განსაკუთრებული უზრაღება დაუთმეს ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციას. ელექტროფიკაციაში ისინი ახალგაზრდა რესპუბლიკის მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური გადაიარაღების საფუძველს ხელავდნენ. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის უკვე პირველი წლებიდან დაწყო მუშაობა აგრეთვე სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისათვის.

აი მოკლე მიმოხილვა ჩვენი სასოფლო ენერგეტიკის ზრდისა, რის შედეგადაც დღეს უკვე გვაქვს ფართო ბაზა ელექტროტრაქტორების შესაქმნელად.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ჩვენი ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე ითვლებოდა მხოლოდ 2 ათასი კვტ საერთო სიმძლავრის 80 სასოფლო ელექტროდაღგმულობა. ეს დადგმულობანი მდიდარი მემამულების სახლკარის განათების მიზნებს ემსახურებოლნენ. უკვე 1925 წლისათვის სსრ კავშირის ტერიტორიაზე გვქონდა 16600 კვტ საერთო სიმძლავრის 450 სასოფლო დადგმულობა. 1928 წლისათვის სასოფლო დადგმულობათა რიცხვი გაიზარდა 694-დე, სიმძლავრე კი — 29600 კვტ-დე.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დარგში პირველი სტალინური ხუთწლედას მანძილზე მოპოვებულმა წარმატებებმა და იმ ისტორიულმა გარდატესამ, რომელიც ჩვენმა სოფლის მეურნეობამ 1929—1930 წ. წ. მასობრივ საკოლმეურნეო მოძრაობასთან და საბჭოთა მეურნეობების შექმნასთან დაკავშირებით განიცადა, ხელსაყრელი პირობები შექმნეს სოფლის მეურნეობის შემდგომი ელექტროფიკაციისათვის.

ფაშისტური გერმანიის თავდასხმის დროისათვის საბჭოთა კავშირში ითვლებოდა 10825 სასოფლო დადგმულობა 275 ათასი კვტ საერთო სიმძლავრით. ელექტროფიკირებული იყო 10000 კოლმეურნეობა და 2500 მანქანა-ტრაქტორთა სადგური. ფაშისტური გერმანიის ვერაგულმა თავ-



მოსკოვის თველიანი ელექტროტრაქტორი

დასხვამ ჩვენს სამშობლოზე შესწყვიტა სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის ზრდა, მაგრამ უკვე 1945 წლის თებერვალში, იმ დღეებში, რომლებაც წინ უსწრებდნენ დიდი სამშობლო ომის უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლებს, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ ამხანაგ სტალინის ხელისმოწერით სპეციალური გადაწყვეტილება მიღლი სოფლის მეურნეობის შემდგომი ელექტროფიკაციის შესახებ.

სასოფლო ელექტროდადგმულობათა მშენებლობის გეგმამ, რომელიც მთავრობამ 1945 წლისათვის დააწესა მნიშვნელოვნად გადაჭარბა ამამდელ საუკეთესო წლებში სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის სამუშაოთა მოცულობას. 1945 წ. გადაიქცა დასაწყისად კიდევ უფრო ვრანდიოზული სამუშაოებისა სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის დარღვები, რომლებიც ამის შემდგომი ხუთწლიანი გეგმითა გათვალისწინებული. ამის შემდგომი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს 1 მილიონ კილოვატი. სიშეძლავრის მარტივობენ სასოფლო ელსადგურების გადაცემას საექსპლოატაციოდ. გარდა ამისა, გეგმა ითვალისწინებს ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის ენერგეტიკული ბაზის გაფართოებას სასოფლო სითბური სადგურების მშენებლობისა და სოფლელი მომხმარებლების რაიონული, სამრეწველო და საქალაქო ელსადგურების ქსელებზე მიერთების ხარჯზე.

ამის შემდგომი პირველი ხუთწლედის დამლევისათვის ელექტრული ენერგიით უზრუნველყოფილი იქნა ყველა საბჭოთა მეურნეობა, მანქანა-ტრაქტორთა სადგური, სასელექციო და საცდელი სადგური და კოლმეურნეობების დაბაზლოებით ერთი მეოთხედი ნაწილი.

ელექტრობით ამჟამად წარმატებით სარგებლობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მრავალ დარგსა და პროცესში—ლეწვაზე, მარცვლის გაწმენდასა და დახარისხებაში, საკვების მომზადებაში, წყალმომარაგებაში,

რტყვაში და სხვ. სასოფლო შეურნეობაში ამჟამად მუშაობს ათობით ათასი ელექტრობითი ზრდა და მკვეთრად ზრდის სასოფლო-სამეურნეო შრომის ნაყოფიერების, სხვა სამუშაოებისათვის ათავისუფლებს ცხენებს, ზოგადს საწვავს, ამცირებს დანაკარგებს, აღიდებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოსავაობას.

მაგრამ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ელექტრობის გამოყენება აქამდე ძირითადად განისაზღვრებოდა იმ პროცესებით, რომლებიც სტაციონარული მანქანებით სრულდება. ელექტრობის გამოყენება მოძრავი სასოფლო-სამეურნეო მანქანების ასამუშავებლად დიდ ტექნიკურ სიძნელებს აწყდებოდა. ამავე დროს კი, ელექტრობა სწორედ აქ მოიტანდა


უდიდეს სარგებლობას, რაღაც სასოფლო მეურნეობაში მინდვრის სამუშაოებზე მიღის მუშახელის მთელი ხარჯის დაახლოებით ნახევარი.

ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია ტარდებოდა ცდები ელექტრობის გამოსაყენებლად მინდვრებზე. ცნობილია, თუ როგორ დიდ დახმარებას უწევდა ვლადიმირ ილიჩი პირველი ელექტროგუთანების შენებლობას. იმ წლებში, რომლებიც მოჰკვა ბუტირის ხუტორზე ლირსახსოვარ ცდას, დაიღ შრომა დაიხარჯა ელექტროხენისათვის ისეთი ჯალამბარიანი ელექტროდადგმულობების კონსტრუქტორებზე, რომლებიც ელექტრობას უნდა მოექვანა მოძრაობაში. მაგრამ მეტად ზორზომა მანქანებმა, რომლებსაც მანევრირების უნარი არ გააჩნიათ და ლითონის დიდ ხარჯს მოითხოვთნენ, ვერ გაუძლეს გაგრცელებული სითბური ტრაქტორების კონკურენციას.

მაგრამ საბჭოთა კონსტრუქტორებს არ მიუტოვებიათ აზრი ელექტრობის გამოყენებისა მინდვრის სამუშაოებისათვის, რომლებზედაც ასე ბევრი ძვირფასი თხევადი სათბობი იხარჯება ტრაქტორებში. მინდვრის სამუშაოებისათვის ელექტრობის გამოყენების სიძნელეები უმთავრესად მდგომარეობდა მოძრავ მანქანაზე ელექტრო-



სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის საკაგშირო ინსტრუმეტის მუხლუხვანი ელექტროტრაქტორი



სოფლის ელექტროფიკაციის საკავშირო ინსტიტუტის კონსტრუქციის მუხლუხოვანი გლექტროატრაქტორი. აღნიშვნები: 1—დანის მიმწოდებელი კაბელი, 2—კაბელის მიმღები ისარი, 3—გორგოლაჭი, რომლის დახმარებითაც კაბელი დოლზე ეხვევა, 4—კაბელის დოლი, 5—დამხმარე ელექტრომოტორი რედუქტორით დოლის საბრუნებლად, 6—გამშვევი ელექტრომოტორი, 7—მოწყობილობა ძაბვის გადასაცემად დოლის კაბელიდან მოტორზე, 8—სამართავი ბერკეტები (მიღიალის კაბინაში).

წყობილობა ძაბვის გადასაცემად დოლის კაბელიდან მოტორზე, 8—სამართავი ბერკეტები (მიღიალის კაბინაში).

ლი ენერგიის საიმედო, ექსპლოატაციაში მოხერხებული გადამცემის მოწყობაში.

ხანგრძლივი და შეუპოვარი მუშაობის შემდეგ საბჭოთა მეცნიერებმა შესძლეს ელექტროტრაქტორების შექმნა და 1949 წ. ელექტრობის ძალით მოიხსნა საკოლმეურნეო მიწების პირველი ჰექტარები.

ტექნიკის მეცნიერებათა დოკტორის პ. ნ. ლისტოვისა და სოფლის-მეურნეობის ელექტროფიკაციის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ინჟინრის ვ. გ. სტეფანკოს მიერ კონსტრუქტორული სპეციალური ტრაქტორისაგან, მოძრავი შესდგება ელექტრული ტრაქტორისაგან, მოძრავი

სატრანსფორმატორო ქვესადგურისა და ელექტროგადამცემი მოძრავი საკაბელო ქსელისაგან.

ელექტროტრაქტორი მონტირებულია ჩვეულებრივი მუხლუხოვანი ტრაქტორის „სტზ—ნატის“ შასიზე, რომლის შიდაწვის ძრავა შეცვლილია ცვლადი დენის ელექტრომოტორით. ტრაქტორის ჩარჩოზე დადგმულია დოლი მოქნადი კაბელით, რომლის საშუალებითაც ტრაქტორებს ქვესადგურს მიუერთებენ. ელექტრომოტორი და საკაბელო დოლი დაცულია გარეშემოსადინარი შემოსაფარით. კაბელის დახვევას და გაშლას აწარმოებს სპეციალური მექანიზმი. დოლიდან კაბელი გორგოლაჭების სისტემით მიღის ისრისაკენ, რო-

მელიც ტრაქტორისტის ბუღრუგანაზეა აღმართული. ისარი განზე გადახრის კაბელს, საშუალებას არ აძლევს მას მოხვდეს ტრაქტორის მუხლუხებისა და მისაბმელ იარაღებ ჭვეშ.

ენერგიას ელექტროტრაქტორი ლებულობს სავალე მაღალვოლტიანი ელექტროქსელიდან. ხაზის მაღალი ძაბა სამუშაო ძაბვამდე დაბლდება მოძრავი სატრანსფორმატორო ქვესადგურის საშუალებით, რომელსაც სპეციალური გამოსაწევი ანძის საშუალებით ხაზს ნებისმიერ აღგილზე მიუერთებენ.

მარაოვოლობიანი ელექტროლო ხაზის მინრარად განლაგიბული უნდა იყოს პარალელურ რიგებათ—ერთმანითისაგან კიონმეტრ-ნახევრი მანძილზე. ელექტროლოტრაქტორის შეუძლია ქვესადგურს დასკილდეს 750 მეტრი რადიუსით. ქვესადგურისაგან დაცილებისას კაბელი გაიშობა რა მიწაზე იდება, ელექტროტრაქტორის უკან მოძრაობისას კი კაბელი ავტომატურად—დამხმარე ძრავისა და სპეციალური მექანიზმის საშუალებით სწორ მცრივიდად ეხვევა დოლზე.

ქვესადგურის ადგილსამყოფელის შეუცვლელად ელექტროტრაქტორის შეუძლია მოხნას 15 ჰექტარი ფართობი. ამის შემდეგ ელექტროტრაქტორი თავის ქვესადგურთან ერთად მეზობელ ელექტროტრაქტორის გადააქვს შემდეგ დასამუშავებელ ნაკვეთზე მაღალვოლტიანი ხაზის გასწვრივ. ამგვარად, ორ ელექტრული ტრაქტორის, რომლებსაც თანმიმდევრობით გადააქვთ ერთმანეთი, შეუძლია დაამუშაოს მიწის კილომეტრნახევარი სიგრძის ზოლი, რომელიც მაღალვოლტიანი ხაზის გასწვრივ მდებარეობს.

*

* *

მუხლუხოვანი ტრაქტორების გარდა, რომლებიც მუშაობდნენ რიაზანის, სვერდლოვსკისა და კიევის ოლქებში, 1949 წლის მაისში გამოშვებულ იქნა თვლებიანი ელექტროტრაქტორიც, რომელიც კონსტრუირებულია მოსკოვს ერთერთი ინსტიტუტის მიერ სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტთან ერთად.

თვლებიანი ელექტროტრაქტორის საფუძვლად აღებულია იმ ტრაქტორის კონსტრუქცია, რომელსაც უშვებს ქარხანა „ვაჩზ“. თვლიანი ელექტროტრაქტორის კონსტრუირების დროს საჭირო გახდა რიგ რთული ტექნიკური პრობლემების გადაჭრა.

კერძოთ იმ მცირე გაბარიტების პირობებში, რომელიც თვლებიან ტრაქტორს აქვს, ძნელი იყო მოქმედების საკმაო რადიუსის მიღწევა, რადგან რამდენადაც მეტია რადიუსი, იმდენად მძიმე უნდა იყოს დოლი და კაბელი...

...კონსტრუქტორებმა წარმატებით დასძლიერ ამოცანა, 1949 წლის 28 მაისს პირველი

თვლებიანი ელექტროტრაქტორი უკვე მუშაობდა მიტიშჩის რაიონის კოლმეურნეობა „სორენოვანიეს“ მინდვრებზე.

უკვე პირველმა მოხვნამ ჩინებული შედეგი გამოიღო. 50 წუთის განმავლობაში ელექტროტრაქტორმა 0,5 ჰექტარზე გადააბრუნა 25 სმ სიღრმის ფუნა: ეს იმას ნიშნავს, რომ ათსაათიან ცვლაში ახალ მანქანას შეუძლია დაამუშაოს 6 ჰექტარამდე ფართობი იმ დროს, როგორც სითბური ტრაქტორების ნორმა 3,6 ჰექტარს უდრის.

ელექტროლო ტრაქტორების უპირატესობა სითბორი ტრაქტორების წინაში უდიდესია.

პირველ ყოვლისა, როგორც უკვე ვთქვით, ელექტროლო ტრაქტორებისათვის საჭირო არ არის ძაირისა საწილი, არათ ამისა, ელექტროტრაქტორების მომსახურებისათვის ერთი მისამირით ნაკლიბი მუშა-ხელია საჭირო, ითორე სითბორი ტრაქტორებისათვის. ელექტროტრაქტორის ბრძანისათვის საჭირო არ არის საწავისა და წყლის მიმწოდებილი, მანქანის გამწყობი. წევის ხარჯი ელექტროტრაქტორებით მუშაობისას 7-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ჩვეულებრივი ტრაქტორებით მუშაობის დროს.

ელექტრული ტრაქტორის რემონტი თითქმის 3—4-ჯერ ნაკლები დანება, ვიღრე სითბური ტრაქტორის რემონტი. ეს იმით იახსნება, რომ ელექტროტრაქტორების ძრავა გაცილებით უფრო მკვიდრი და საიმედოა, ვიღრე სითბური ტრაქტორის მოტორი, რომელიც ხშირ რემონტი მოითხოვს.

ხვნა ელექტროტრაქტორებით გაცილებით უფრო იაფია, ვიღრე ჩვეულებრივი ტრაქტორით. ერთი ჰექტარის მოხვნაზე საშუალოდ იხარჯება 45 კილოგრატ-სათი ელექტროენერგია. ელექტროტრაქტორის მკვიდრი და თანაბარი მოძრაობა და დიდი გადატვირთვის ატანის უნარი უზრუნველყოფს ნიადაგის უკეთ დამუშავებას, შესაძლებლად ხდის არაერთგვაროვანი ნიადაგების დასახულ სიღრმეზე მოხვნის უზრუნველყოფას.

დაბოლოს, ელექტროტრაქტორებით მუშაობისას მნიშვნელოვნად ადვილდება ტრაქტორისტის შრომა. ელექტრული ტრაქტორი ყოველთვის მზად არის მუშაობისათვის, კნობზე ხელის დაჭერა და ელექტროტრაქტორი მუშაობას იწყებს. ელექტროტრაქტორის ეს თვისება განსაკუთრებით ძვირფასია ცივ პერიოდში, როცა ჩვეულებრივი ტრაქტორის აძვრა ძნელ საქმეს წარმოადგენს.

მინდვრის სამუშაოების ელექტროფიკაცია უმნიშვნელოვანეს რგოლს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციაში. ის დიდად შეუწყობს ხელს შრომის ინდუსტრიული მეთოდების დანერგვას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

(„ტექნიკა მოლოდენი“, № 8, 1949 წ.).

საქართველოს სამინისტრო

დოკუმენტი კომისიის განხილვის

მთა-გორისან აღგილებში საპარო-საბაგირო გზებს მეტად ღიღი უპირატესობანი აქვს ტრანსპორტის სხვა სახეებთან შედარებით. ტრანსპორტი მთისან აღგილებში, ზოგჯერ, მნილოდ საპარო-საბაგირო გზებით არის შესაძლებელი.


საქართველო მთაგორისანი ქვეყანაა და ბუნებრივია, რომ ასეთ გზებს აქ ღიღი გავრცელება აქვს. ჩვენი ქვეყნის მრეწველობაში და, განსაკუთრებით, სამთო მრეწველობაში საპარო-საბაგირო გზები ფართოდაა გამოყენებული. საქართველოს ბევრ რაიონში ასეთი გზებით ეზიდებიან მაღალულს თვალუწვდენელ და მიუვალ კლდეებიდან გზატკეცილებამდე ან რკინიგზებამდე. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მარტო ჭიათურის რაიონში აგებულია რამდენიმე ათეული ასეთი გზა. ამჟამად ჭიათურა წარმოადგენს საპარო-საბაგირო გზების შესანიშნავ ლაბორატორიას, სადაც თითქმის ყველა ტიპის საბაგირო გზებს შეხვდებით.

საპარო-საბაგირო გზას უამინდობის დროსაც შეუძლია განაგრძოს მუშაობა. ჩვენში, კავკასიონის მთავარი ქედის მახლობლად (ზემო რაჭაში), იგებულია ტექნიკური თვალსაზრისით შესანიშნავი გზა, რომლის ტრასა პევთს თვალუწვდენელ ხრმებს. გზა ნორმალურად განაგრძობს მუშაობას ძლიერი ქარბუქების დროსაც, როდესაც სხვა სახის ტრანსპორტის მუშაობა შეუძლებელია.

დანიშნულების მიხედვით არსებობს ორი სახის საპარო-საბაგირო გზები: სატვირთო და სამგზავრო. ძირითადი განსხვავება მათ შორის იმაში მდგომარეობს, რომ უკანასკნელთ, მუშაობის უსაფრთხოების გასაღიღებლად, დამატებით უკეთდება დამცველი ბაგირები.


გავრცელება ჰპოვა სამი ტიპის სამგზავრო საპარო-საბაგირო გზამ: 1) სამგზავრო გზა გაწყვილებული გამწევი ბაგირით, 2) სამგზავრო გზა საშუალური ბაგირით და 3) სამგზავრო გზა დამხმარე ბაგირით.

პირველ ფიგურაზე წარმოდგენილია საპარო გზის სქემა. ვაგონეტი (3) გორგოლაჭებით (4) მოძრაობს ეგრეთწოდებულ სალიანდაგო ბაგირზე (1); ვაგონეტის გადაადგილება ხდება გამწევი ბაგირით (2). გამწევი ბაგირი მოძრაობაში მოდის ამძრავი შეივის მეშვეობით (5), უკანასკნელი კი მოძრაობაში მოყავს მოტორს. ამძრავი შეივის ჩვედა სადგურშია მოთავსებული.



ნახ. 1

ქვედა სადგურში მოთავსებულია დამჭიმავი ტვირ-
თები. ტვირთი (6 და 7) საჭირო დაჭიმულობას
ანიჭებს სალიანდაგო და გამწევი ბაგირს. სამგზა-
რო საბაგირო გზა, როგორც ეს 1-ლ ფიგურაზე
არის ნაჩვენები, ჩვეულებრივ
გაწყვილებულია, ე. ი. გვაქვს
ორი სალიანდაგო ბაგირი და
ორი ვაგონეტი. გამწევი ბაგი-
რი საერთოა, ზედა ბაგირი (ვაგო-
ნეტების ზედა მხარეზე ჩამული
გამწევი ბაგირი) ამძრავი შეკიდის
(5) საშუალებით მოძრაობს, ხოლო



ნახ. 2


ქვედა ბაგირს (ვაგონეტების ქვედა მხარეზე ჩამული გამწევი ბაგირი) მიმმართველი შეკიდი (8) მიმართავს. ვაგონეტები ურთიერთ საწინააღმდეგოთ მოძრაობები: როცა ერთი ზევით მიემართება, მაშინ მეორე ქვემოთ ჩამოდის. მოძრაობის დამთავრებისა და შესაფერისი პაუზის შემდეგ (რაც საჭიროა ვაგონეტების განტვირთვისა და დატვირთვისათვის) მოძრაობა შებრუნებული მიმართულებით განახლდება. ამრიგად, როცა მარჯვენა ვაგონი ზევით მიდის, მარცხენა ქვევით ჩამოდის და პირიქით. თვითეული ვაგონეტი ქანქარის მსგავსად მოძრაობს — ზევით და ქვევით, ამის გამო ასეთი სახის გზებს ქანქარის ტიპის გზები ეწოდება.

სალიანდაგო და აგრეთვე გამწევი ბაგირი მაღალი ხარისხის ფოლადისაგან მზადდება. სალიანდაგო ბაგირის კვეთი დიდი მარაგია აიღება (მხოლოდ გაჭიმვაზე ჟიმტკიცის მარაგს 3,5-4-ის ტოლს იღებენ), ეს ბაგირები უძრავია და მათი ცვეთაც უმნიშვნელოა; ამის გამო, ჩვეულებრივ, მათი გაწყვე-


ტაც არ არის შესაძლებელი. ისინი დაახლოებით ისევე საიმედონი არიან, როგორც თანამედროვე ხიდები. იგივე არ შეიძლება ითქვას გამწევი ბაგირებზე; გამწევი ბაგირები მოძრაობაშია: გაივლიან მიმმართველ გორგოლაჭებს, მიმართველ შეკიდებსა და ამძრავ შეკიდებს. ამის გამო მათი ცვეთაც მნიშვნელოვანია; გამწევი ბაგირების მნიშვნელოვანი ცვეთის გამო (მიუხედავათ ყოველდღიური მეთვალყურეობისა მათზე) გამორიცხული არ არის მათი გაწყვეტის შესაძლებლობა.

გამწევი ბაგირის გაწყვეტის შემთხვევაში მოსალოდნელი ავარიის თავიდან ასაცილებლად, როგორც აღვნიშნეთ, გამოყენებულია დამცველი ბაგირები.

ოთავავშირის ხელვაცი



ნახ. 3



გაწყვილებულ გამწევ ბაგირიან გზებზე ორს
ტოლფასი გამწევი ბაგირია, ე. ი. გამწევი ბაგირი
დუბლირებულია. ასეთმა გზებმა შედარებით ნაკ-
ლები გავრცელდა ჰპოვეს.

სამუხრუჭო ბაგირიან სამგზავრო გზებზე მეორე გამწევი ბაგირი, ნორმალური მუშაობის დროს, უძრავია, და სამგზავრო ვაგონი მასთან მუდმივ შეხებაშია. გამწევი ბაგირის გაწყვეტისას ავტომატურად ამოქმედდება სპეციალური მუხრუჭი, რის შედეგად ვაგონი სამუხრუჭო ბაგირს ჩაეჭიდება და გაჩერდება. ამის შემდეგ სამუხრუჭო ბაგირს სპეციალური ამძრავით აამოძრავებენ და ვაგონებს საღვურებამდე მიიკვანენ.

ვაგონისა და სამუშარუჭო ბაგირის მულმივი შეხების შედეგად უკანასკნელის ცვეთა აქაც მნიშვნელოვანია.

კველაზე ფართო გავრცელება ჰპოვა დამხმარე ბაგირიანმა სამგზავრო გზებმა. ასეთ გზებზე, რო- გორც ეს მე-2 ფიგურაზეა ნაჩვენები, დამხმარე ბაგირი ნორმალური მუშაობის დროს, სალიანდა- გო და გამწევი ბაგირის ზევით გადის, იგი უძრა- ვია და ცვეთასაც არ განიცდის. გამწევი ბაგირის გაწყვეტის შემთხვევაში ამოქმედდება ავტომატუ- რი მუხრუჭი, ვაგონი სალიანდაგო ბაგირს ჩაეჭი- დება და გაჩერდება. ამის შემდეგ დამხმარე ბა- გირს დაუშვებენ იმდენად, რომ იგი გამწევი ბაგი- რის ღონებზე დავიდეს; შემდეგ დამხმარე ბაგირს აამოქრავებენ სპეციალური ამძრავით.

დამხმარე და სალიანდაგო ბაგირის საშუალე-
ბით საღურებიდან წამოვა დამხმარე ვაგონები,
რომელიც გზაში დამუხრუჭებულ ვაგონებს მო-
ადგება. ვაგონებში მყოფი მგზავრები დამხმარე
ვაგონებში გადასხდებან და შათ საღურებში
გადაიყვანენ. ამის შემდეგ დამხმარე ვაგონებს
კვლავ ძირითად ვაგონებამდე მიიყვანენ, ჩააბაჭენ
ერთმანეთს და გაწყვილებულად მიიყვანენ სად-
გურამდე.

საბაგირო გზის სიჩქარე არ აღემატება 5 მეტრს
წამში. საერთოდ საბაგირო გზებზე სიჩქარე უე-
ზლულელია შუალედი ანძების არსებობით; საჭმა

იშავია, რომ შუალედ ანგებშე გხის
დახრის მიმართულება იცვლება
და თუ მასზე ვაგონი დიდი სიჩქა-
რით გადაივლის, შესაძლებელია
ლიანდაგიდან წამოვარდეს. ამისა-
თვის ყოველთვის ცდილობენ შუა-
ლედი ანგები რაც შეიძლება ნაკ-
ლები იყოს. ანგებს შორის მან-
ძილი შეიძლება 1.500 მეტრამდე
ავილოთ.


თარაზული მანძილი საღიანდა-
გო ბავირებს შორის 3-5 მეტრის
ტოლი აღლება; ეს მანძილი სრუ-
ისია იმისათვის, რომ ვაგონებმა
ჩორ აუტონ

ლიად საქმარისია იმისათვის, რომ ვაგონებშა
ურთმანესობის გარეთი არარონ.


ვაგონი 6-დან 35-დე მგზავრს იტევს. სამგზავრო გზის წარმადობა დამოკიდებულია მის სიგრძეზე, სჩექარეზე და ვაგონის ტევალობაზე: მაგალითად, ერთგილომეტრიან გზებზე ერთი მიმართულებით შეძლება საათში საშუალოდ 300 მგზავრი გადავიყვანოთ.

საქართველოში, გერგერობით, მხოლოდ ორი
სამეზარულო საპატიო-საბაზირულო ეზა მოშენდეს.

ქ. ზესტაფონში ქალაქის ბაღსა და კომკავშირისთვის შეადგინება ამ ურთიერთობა.



საჰაერო-საბაგირო გზა. გზის
ძირითადი ზომები წარმო-
დგენილია მე-3 ფიგურაზე.
გზის საშუალო დახრია 13° .
შეადგენს; ვაგონში მოწყო-
ბილია სამუხრუჭო მოწყობი-
ლობა, რომელსაც, ბაგი-
რის გაწყვეტის შემთხვევაში,



ნახ. 6

მძლოლი ჩართავს. დაცვის ასეთი გამარტივება შე-
საძლებელი შეიქმნა გზის მცირე დაზრისა და მცი-
რე სიჩქარის გამო (2 მეტრი წამში).

მე-4 ფიგ-ზე წარმოდგენილია ჭიათურის
დიმიტროვის სახელობის მაღაროს სამგზავრო
გზის სქემა. როგორც სქემიდან ჩანს, გზა თით-
ქმის თარაზულია და გამწევი ბაგირის გაწყვეტის
შემთხვევაში ვაგონი ისე გაჩერდება, რომ სად-
გურს ვერ მიაღწევს, ე. ი. გამწევი ბაგირის გა-
წყვეტისას არავთარ ავარიას არ ექნება ადგილი.
ვაგონი 10 მგზავრს იტევს, სიჩქარე წამში
2 მეტრს შეადგენს, ე. ი. მთელი შანდილის გავლას
დაზღვებით 200 წამი სჭირდება, მაშინ, როდე-
საც ამ ორ პუნქტს შორის მანძილის დაფარვას
საბილიკო გზით კარგ დარში ერთი საათი უნდა.

მე-5 ფიგურაზე წარმოდგენილია ამ გზის ფო-
ტოსურათი.

ამჟამად ჭიათურიდან სტალინის სახელობის მა-
ღარომდე შენდება დიდი წარმადობის სამგზავრო
საბაგირო გზა. გზის პროფილი ნაჩვენებია მე-6 ფი-

გურაზე. გზის სიჩქარეა 3 მეტ./წმ. მთელ მანძილს
ვაგონი გაივლის 3,5 წუთში. გზის ნაყოფიერება
განისაზღვრება 300 მგზავრით საათში ერთი მი-
მართულებით; ვაგონი დაიტევს 20 მგზავრს. გზა
შენდება დამხმარე ბაგირითა და დამხმარე ვაგო-
ნებით. ვათვალისწინებულია სატელეფონო კავ-
შირი ვაგონებსა და სადგურებს შორის.

გზის ამუშავება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს
კავშირს ქალაქ ჭიათურასა და სტალინის სახელო-
ბის მაღაროს შორის.

აღნიშნული გზების პროექტების ავტორია ჭია-
თურის მარგანეცის ტრესტის საპროექტო ბიურო,
რომელსაც ინუ. გ. ი. ფანცულაია ხელმძღვანე-
ლობს.

საქართველოს მთაგორიან რაიონებში მეტად
ბევრია ისეთი ადგილები, სადაც საბაგირო გზების
გამოყენება დიდ ეფექტს მოგვცემდა.

მოყვანილი მაგალითები მხოლოდ დასაწყისად
უნდა ჩაითვალოს. უდავოა, რომ სამგზავრო სა-
ჰაერო-საბაგირო გზები დიდ გავრცელებას პპ-
ვებს ჩვენში.



სეღოვნური კლიმატის ლაბორატორია

იაკობ ღომია


სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ხაյაგზირო ხამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხასუმის ფილიალის დირექტორი

დასავლეთ საქართველოს ეგრეთშოდებული ტენიანი სუბტროპიკული ზონის ნიაღავი და კლიმატური პირობები შესაძლებლობას იძლევიან ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ვრცელ ფართობებზე გამოვზარდოთ ძვირფასი სუბტროპიკული კულტურები—ჩაი, ტუნგო, ციტრუსები და სხვა. ყველა ეს კულტურა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ხელში იძლევა უხვ მოსავალს, რომელიც ხშირად სჭარბობს ამ კულტურების სარეკორდო მოსავალს კაპიტალისტურ წვეყნებში.

მაგრამ, როგორც ცნობილია, ჩვენი სუბტროპიკული ზონის ყველა ქვეყნის კლიმატური პირობები ერთნაირი არ არის. ზოგან, რიგ წლების მანძილზე, ზამთრობით ყინვები დიდი არ არის და სუბტროპიკული ნარგავები, კერძოთ ციტრუსები, არ ზიანდება. მაგრამ ზოგჯერ ტემპერატურა იმდენად ეცემა, რომ ზიანდება; პირველ რიგში, ლიმონის ნარგავები, შემდეგ ფორთოხალი და თვით უფრო ყინვაგამდება მანდარინიც. მანდარინის უმნიშვნელო დაზიანება რამდენიმე პროცენტით ამცირებს მოსავლიანობას. ზოგიერთ შემთხვევაში ნარგავების დაზიანება იმდენად სერიოზულია, რომ მთელი წლის მოსავალი იღუპება. უფრო ძლიერად ზიანდება ლიმონის ნარგავები, მათი მსხმოარობა 2—3 წლით შედება.

გეგმიანი სოციალისტური მეურნეობის პირობებში, ცხადია, ჩვენ არ შეგვიძლია ბუნების „მოწყალების“ მოიმედე ვიყოთ. პარტიისა და მთავრობის რიგ გადაწყვეტილებებში ხაზგასმითაა აღნიშნული ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების განვითარების აქტუალობა. ეს მოითხოვს საბჭოთა მეცნიერებისაგან, სპეციალისტებისა და პრაქტიკოსებისაგან—შეისწავლონ და დაამუშაონ საიმედო ხერხები, რომლებიც უზრუნველყოფენ ციტრუსოვანთა მაღალი მოსავლის რეგულარულად, ყოველწლიურად მიღებას. ამ მიზნით მთელ რიგ აგრონომიულ ღონისძიებათა კომპლექსის დამუშავებასთან ერთად (დაცვა ყინვებისაგან, ბრძოლა მავნებლებისა და დავადებათა წინააღ-

მდეგ, ნიაღავის გაპატივება და სხვა) ფართო მუშაობა გაშლილი უფრო ყინვაგამძლე ლიმონის, ფორთობლისა და მანდარინის გამოსაყვანად. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული, მაგრამ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობას საუკეთესო ჯიშების შესარჩევად და ახლების გამოსაყვანად, აგრეთვე იმის გამოსარკვევად, თუ რა გავლენას ახდენენ აგროტექნიკური ღონისძიებანი მცენარეთა ყინვაგამძლეობის გაძლიერებაზე,—მნიშვნელოვნად უშლიან ხელს კლიმატური ხასიათის სიძნელენა. შესასწავლი ობიექტები ხშირად იღუპებიან ძლიერი ყინვების ღრის. ზოგჯერ, რიგ წლების მანძილზე, ტემპერატურა საჭირო ზლვრამდე არ იწევს და მცენარები ასწრებენ საშიში ასაკის გადაცილებას. გამორიცხული არ არის ისეთი შესაძლებლობაც, როცა გამოყვანილ ან გამოვლინებულ მცენარეთა შორის არიან ეგზემპლარები, რომელთაც 1—2 გრადუსით მეტი ყინვაგამძლეობა ახასიათებს. ასეთი მცენარეები განსაკუთრებით ძვირფა-



[ლაბორატორიის სამანქანო დარბაზი.]

სია, რადგან მათგან் შეიძლება ახალი—კიდევ უფრო ყინვაგამძლე თაობის გამოყვანა. მაგრამ ბუნებრივ პირობებში იშვიათია, რომ ყინვები იმდენ ხანს გრძელდებოდეს და ისეთი სიღიღის იყოს, როგორიც საჭიროა ცდებისათვის. საკმარის ყინვამ ერთ-ორი გრადუსით გადაჭირდოს კრიტიკულს, რომ ყველა მცენარე დაიღუპოს.

კლიმატური ხასიათის სიძნელებმა აიძულეს მცენიერები — დაესვათ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მცენარეების გამოსაცდელად ხელოვნური კლიმატის სპეციალური ლაბორატორიის მოწყობის საკითხი.

იდეა ისეთი ლაბორატორიის მოწყობისა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მეტეოროლოგიური პირობების განხორციელება საჭირო დროს, საჭირო ხანგრძლივობით და საჭირო მახასიათებლებით, — ეკუთვნის საბჭოთა მეცნიერებს. ჩვენმა მეცნიერებმა შესძლეს ბუნების მოვლენების ხელოვნურად გამოწვევა ლაბორატორიულ პირობებში და ამ ცდების გამოყენება რიგ სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადასაწყვეტად.


ცნობილი საბჭოთა მეცნიერი ნ. ე. უჟკოვსკი 1918 წ. ამ მეთოდით მუშაობდა რკინიგზის ტრანსპორტზე თოვლსაცავი ღონისძიებების შესასწავლად. პროფ. ს. ლ. ბასტამოვი მისივე მონაშილეობით მოსკოვის მახლობლად — კუჩინოსა და ლოსინოში შექმნილ ხელოვნური კლიმატის ლაბორატორიებში მუშაობდა მარცვლეული კულტურების გვალვათგამძლეობისა და სხვა პრობლემების შესწავლაზე.

იგივე იდეა იქნა გამოყენებული სუბტროპიკული კულტურების ყინვაგამძლეობის შესასწავლად, რისთვისაც სოხუმში 1934 წელს იგებულ იქნა ხელოვნური კლიმატის ლაბორატორია. ახლა ეს ლაბორატორია ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის გამგებლობაში იმყოფება.

ლაბორატორიას აქვს ორი კამერა (ბნელი და ნათელი), რომელიც ათავსებენ იმ მცენარეების, რომელთა ყინვაგამძლეობა გვინდა შევისწავლოთ. კამერებში ტემპერატურის დაწევა ხორციელდება ჰაერით, რომელიც მოდის მილების ბატარიიდან. ამ ბატარიის გაცივება კი ხდება ამიაკიანი კომპრესორული დადგმულობებით.

